პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 122 (4116)

1978 წ. 24 ივნისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## რ. ოკინაშვილი — აბსოლუტური ჩემპიონი

რუსთავის სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში გამართულმა ნორჩ ბადმინტონისტთა ასპარეზობამ ერთხელ კიდევ ცხადყო სპორტის ამ სახეობის მზარდი პოპულარობა.

საქმე მარტო ის როდია, რომ ბადმინტონი „ახალი ხილია" რუსთავში და შეჯიბრების დღეებში დარბაზი მაყურებლებით იყო სავსე. არა, წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად სარბიელზე ცხრა გუნდი (თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ჭიათურა, გორი, გარდაბანი, რუსთავი) გამოვიდა და, ძლიერი თბილისელი ბადმინტონისტების გარდა, ბოლო დღემდე ძნელი იყო საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა დასახელება. საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ აქამდე აუტსაიდერთა ჯგუფში მყოფმა გარდაბნელმა სპორტსმენებმა სერიოზულად შეავიწროვეს ფავორიტები. თ. ღონიაშვილისა და ვ. ბოლქვაძის დუეტმა მხოლოდ ვ. ლიბახისა და გ. ღარიბოვის (თბილისი) გამოცდილ წყვილთან დათმო პირველობა. სპეციალისტებმა კარგი შეფასება მისცეს III ადგილზე გასულ მათიაშვილ-მხითარიანის (რუსთავი) წყვილსაც.

გოგონებიდან აღნიშვნის ღირსნი არიან სოხუმელი ე. საჯაია და ბათუმელი მ. ცინცაძე, რომელთა დებიუტი სასიამოვნო სიურპრიზი იყო ბადმინტონის გულშემატკივრებისთვის. ჭაბუკებიდან მოწონება დაიმსახურეს ლ. ომიაძემ და ზ. ვარდოსანიძემ (ჭიათურა).

უძლიერესთა შორის შეჯიბრების გმირი იყო თბილისელი რ. ოკინაშვილი, რომელმაც გოგონათა ფინალში დაამარცხა თანაგუნდელი ც. ბაღაშვილი და შემდეგ მასთან ერთად მოიპოვა გამარჯვება წყვილთა შეჯიბრებაში. ოკინაშვილმა ერთხელ კიდევ იმარჯვა და მესამე მედალი მოიპოვა ვ. ლიბახთან ერთად შერეულ წყვილებში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა.

პირადი პირველობის პრიზიორები. ჭაბუკები: 1. გ. ღარიბოვი, 2. ვ. ლიბახი (ორივე — თბილისი), 3. ა. ნერსესიანი (აფხაზეთი); გოგონები: 1. რ. ოკინაშვილი, 2. ც. ბაღაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ტ. ნიკიტინა (აფხაზეთი); ჭაბუკთა წყვილები: 1. ლიბახი, ღარიბოვი, 2. თ. ღონიაშვილი, ვ. ბოლქვაძე (გარდაბანი), 3. ვ. მათიაშვილი, კ. მხითარიანი (რუსთავი); გოგონათა წყვილები: 1. ოკინაშვილი, ბაღაშვილი, 2. ე. საჯაია, ტ. ნიკიტინა (აფხაზეთი), 3. ი. ძოძიშვილი, ა. ტელეშენინა (გორი); შერეული წყვილები: 1. ოკინაშვილი, ლიბახი, 2. ბაღაშვილი, ღარიბოვი, 3. ნიკიტინა, ვ. ანდრეევი (აფხაზეთი).

**გ. სამსონაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ოკინაშვილი შეჯიბრების დროს.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.




## მადლს მარილიც მოაყარეთ

თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და ცხინვალის ნორჩი მოჭადრაკეები სხვებზე უკეთესად თამაშობენ და ამიტომ მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამაში მათთვის (I ჯგუფი) გუნდური პირველობა დაიგეგმა. რა თქმა უნდა, გუნდები უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ სარბიელზე. იყო ერთი სიახლეც: გოგონებისა და ვაჟთა პირველობები ცალ-ცალკე გათამაშდა. გოგონათა გუნდები 2-2, ვაჟთა კოლექტივები კი 6-6 მოსწავლით იყო დაკომპლექტებული.

გოგონათა ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: თბილისი (თ. კაჭარავა, მ. წერეთელი) — 6 ქულა, ბათუმი — 5,5, ქუთაისი — 5, სოხუმი — 2, ცხინვალი — 1,5.

ვაჟთა პირველობაში ყველას აჯობა თბილისის გუნდმა (კ. ჩიგოგიძე, გ. ცქიტიშვილი, მ. კაჭარავა, გ. ზაიჩიკი, ე. გუშიანი, ზ. ზამბახიძე) — 19 ქულა. II ადგილი ხვდათ ქუთაისის — 16, III — სოხუმის — 13, IV — ბათუმის — 11, V — ცხინვალის წარმომადგენლებს — 1.

ცალკეულ დაფებზე I ადგილები დაიკავეს: ვაჟებში — კ. ჩიგოგიძემ — 3,5 ქულა (4-დან), გ. გურგენიძემ (ქუთაისი) — 3, მ. კაჭარავამ — 4, გ. ზაიჩიკმა — 3, მ. ალალაროვმა (ქუთაისი) — 4, ზ. ზამბახიძემ — 4; გოგონებში — თ. კაჭარავამ — 4, ნ. ფურმანმა (ბათუმი) — 4.

II ჯგუფის შეჯიბრებაში 21 ქალაქისა და დაბის წარმომადგენლები (2 ვაჟი და 1 გოგონა) ჩაებნენ. ტურნირები შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა.

გოგონათა ტურნირში საპრიზო ადგილები დაიკავეს: ნ. ჯანჯღავამ (ცხაკაია) — 6,5, ი. ჯანელიძემ (სამტრედია) — 6, თ. დიდებულიძემ (ხაშური) — 5.

ვაჟთა I დაფაზე გაიმარჯვეს: დ. მაღალაშვილმა (გორი) — 5,5, ა. ტერაშვილმა (რუსთავი) — 5,5, ო. ბელქანიამ (წალენჯიხა) — 5; II დაფაზე — ა. ხუფენიამ (გორი) — 5,5, ნ. ლეკვეიშვილმა (სამტრედია) — 5, რ. ლუკავამ (წალენჯიხა) — 5.

ამ მონაცემების მიღმა დარჩა ნორჩ მოჭადრაკეთა თავდადებული ბრძოლა, სიხარული და სინანული. ბავშვებმა გატაცებით იასპარეზეს, შეიძინეს საჭირო გამოცდილება და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი თამაშის ჩრდილოვანი მხარე დაინახეს. ეს კი ზრდის საწინდარია.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ მწვრთნელების — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დ. ჩირაძის (ქუთაისი), შ. ინწკირველის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. შიშოვის, ა. წერეთლის, პ. ხიზანიშვილის, ო. ალხანიშვილის (ყველა — თბილისი), შ. თოთლაძის (გორი), მ. ქურდოვანიძის (ცხაკაია), ა. მაჩიტაძის (სამტრედია), ო. თოლორდავას (წალენჯიხა), ს. გურეშიძის (ხაშური) და სხვების მუშაობა. ზოგიერთი თან ახლდა თავის აღსაზრდელს.

შეჯიბრებამ, შეიძლება ითქვას, კარგად ჩაიარა (მთავარი მსაჯი გ. მაჭავარიანი). მაგრამ ორგანიზატორებს მეტი მონდომება რომ გამოეჩინათ, დიდად სასარგებლო საქმის გაკეთებაც შეეძლოთ. მაგალითად, ლექციას საჭადრაკო თემაზე ბავშვები სიამოვნებით მოისმენდნენ, ოსტატთა ერთდროული თამაშის სეანსებშიც ითამაშებდნენ, კითხვა-პასუხის საღამოშიც მიიღებდნენ მონაწილეობას. შეიძლებოდა რომელიმე სპეციალისტი რამდენიმე ბავშვის შემოქმედებას გასცნობოდა და მათზე საჯაროდ ესაუბრა. არც მწვრთნელებისთვის იქნებოდა ეს ურიგო. მსგავსი ღონისძიებები მუდამ უნდა იგეგმებოდეს ნორჩ მოჭადრაკეთა დიდი ფორუმის დროს.

**თ. გიორგაძე.**

## რეკორდებზე იერიში გრძელდება

ბულგარელ ძალოსანს მ. კუჩევს კონტინენტის პირველობაში, რომელიც უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში ტარდება, ევროპის ჩემპიონობის შენარჩუნება არ გასჭირვებია. მართალია, სამჭიდში მის მიერ ამჯერად ნაჩვენები შედეგი შარშანდელს ჩამორჩება, მაგრამ ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის მაინც საკმარისი გამოდგა. თვით ათლეტი შეჯიბრებით ძალზე კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან შეძლო მსოფლიო რეკორდის დაბრუნება აჭიმვაში. კუჩევმა 132,5 კგ აჩვენა, რაც 1 კგ-ით მეტია უნგრელ ი. ფიოლდის მიღწევაზე. კუჩევმა თავისი შესაძლებლობისთვის მოკრძალებული შედეგები აჩვენა ატაცსა და აკვრაში (107,5 და 142,5), მაგრამ მისი უპირატესობა აჭიმვაში დანარჩენ მეტოქეებზე იმდენად საგრძნობი გახლდათ, რომ ბულგარელმა ოქროს მედალი 5 კგ-ის სხვაობით მოიგო. მისი შედეგია 382,5 კგ.

II ადგილზე გავიდა პოლონელი ი. ვოინოვსკი — 377,5 კგ. მან ევროპის რეკორდი მოუხსნა საბჭოთა ძალოსან დ. შანიძეს ატაცში. ვოინოვსკიმ 120 კგ აიტაცა, რაც 2,5 კგ-ით მეტია შანიძის მიღწევაზე. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ქართველი ათლეტი ამ დღეს მაყურებლებს შორის იყო. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა გუნდური პირველობის ინტერესების გამო გადაწყვიტეს შანიძე არ გამოეყვანათ და, სამაგიეროდ, ქვესაშუალო ან ზემძიმე წონაში 2 ათლეტით ასპარეზობის უფლება მიეღოთ. ახლა ძნელია ამ გადაწყვეტილების სისწორეზე ლაპარაკი, მაგრამ ერთს კი აუცილებლად შევნიშნავთ: ამას წინათ ვილნიუსში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში შანიძემ ოქროს მედალი მოიგო და სამჭიდში 387,5 კგ დააგროვა. თუ დავუმატებთ, რომ, სპეციალისტების აზრით, იგი მზად იყო 400 კგ-ის საიერიშოდ, ნაკრების მწვრთნელთა გადაწყვეტილება, მეტი რომ არ ვთქვათ, ცოტა უცნაურად გამოიყურება.

სამჭიდში III ადგილზე დარჩა უნგრელი ი. ბენედეკი — 375 კგ.

23 ივნისს ასპარეზობდნენ მსუბუქი წონის ათლეტები. საბჭოთა გუნდს ამ წონაში წარმომადგენელი არ ჰყავს,

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი კალათბურთში

## მხოლოდ ორი ეპიზოდი

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 73:80 (43:37).

„დინამო": საკანდელიძე (18), ქორქია (14), ბოლქვაძე (13), მოსეშვილი (11), სხიერელი (8), ჩიხლაძე (6), მაღალაშვილი (2), უგრეხელიძე (1), ქარაბაკი, ნარიმანიძე.

„ჟალგირისი": პაულაუსკასი (21), ბუდნიკასი (17), ვენზბერგასი (13), სარპალიუსი (10), ჟუკაუსკასი (8), ჩუპკოვასი (4), პატაკაუსკასი (4), შიდლაუსკასი (2), გედრაიტისი (1), რუზგასი, იურკშტაისი.

მსაჯები: ო. კამიშევი, ა. ჟოლენძი (ორივე — მოსკოვი).

ეს იყო ყოვლად უფერული მატჩი, ღარიბი სიუჟეტური ხაზითა და თხრობის უინტერესო მანერით. აი, ზუსტად ასეთია რიგითი კალათბურთი, მოსაწყენი, ერთფეროვანი....

თუმცა, ორი ეპიზოდი ამ მატჩში ღირს გახსენებად, ორი ხუთწუთიანი პერიოდი შესვენებამდე და შესვენების შემდეგ. ამ ეპიზოდებმა ერთხელ კიდევ გაგვახსენა „დინამოს" ცეცხლოვანი თამაში და მისი ერთ-ერთი ლიდერის საკანდელიძის დახვეწილი ოსტატობა.

ქარიშხლის ნიშნები ტაიმის მიწურულს ვიგრძენით. საკანდელიძემ ხელთ იგდო ბრძოლის სადავეები, სხვებიც აიყოლია და მოედანზე ნამდვილი ცეცხლი დაანთო. „ჟალგირისისთვის", რომელსაც ხელს აძლევდა თბილისელთა დუნე თამაში, ეს აფეთქება ყველაზე უსიამოვნო სიურპრიზი იყო. გუნდი მოულოდნელობისგან დაიბნა, ადგილზე გაქვავდა. მაგრამ ალბათ დემორალიზებული მეტოქის იღბალი სწორედ ის იყო, რომ თბილისელებმა ეს შტურმი შესვენების წინ წამოიწყეს. გონგმა „ჟალგირისი" ნოკაუტს გადაარჩინა.

შემდეგ ყველაფერი ნაცნობი გზით წარიმართა და გონს მოსულმა ლიტველებმა ადვილად აღადგინეს წონასწორობა. ისინი ჯერ შეეთვისნენ მეტოქეს, მერე გაათანაბრეს თამაში, მერე შეუმჩნევლად, ისე, სხვათა შორის, დაწინაურებაც დაიწყეს. ეს იყო კრიტიკული მომენტის დასაწყისი, ვინაიდან ჯარიმების სიმრავლე მაინცდამაინც ჩვენს გულივერებს (ბოლქვაძე, ქორქია, სხიერელი, უგრეხელიძე) ემუქრებოდათ. თითო გაუფრთხილებელი ნაბიჯი, უცაბედი შეცდომა და „ჟალგირისი" დამატებით უპირატესობას მიიღებდა სიმაღლის სახით (ამ დღეს თბილისელთა რიგებში არ თამაშობდნენ ალთაბაევი და ლეჟავა).

ალბათ ეს იყო მიზეზი თბილისელთა თავგანწირული შტურმისა, რომელშიც წამყვანი როლი ისევ საკანდელიძემ ითავა. შეტევა, ზუსტი სროლა, ისევ შეტევა, ტემპი, ტემპი, და „ჟალგირისის" დაცვას ამ დღეს უკვე მეორედ გაუჩნდა ბზარი. მაგრამ „დინამოს" ძალებიც ამოწურვის პირას იყო.

ყველაზე მეტად დაიღალა ის, ვინც ორიოდე წუთის წინ არ ცხრებოდა, ყველაზე მეტად მიიწევდა წინ და ნამდვილი დეზორგანიზაცია შეჰქონდა მეტოქის ზურგში. საკანდელიძემ დასვენება ითხოვა და თბილისელთა ხანგრძლივი შტურმი ერთბაშად ჩაკვდა...

უსიამოვნო გრძნობით ვტოვებდით ამ დღეს სპორტის სასახლეს. ის, რაც წლების მანძილზე ჩვენი ეროვნული სიამაყე იყო, დღეს ასე შელახული და მოღლილი გვეჩვენა. და მაშინ მივხვდით, რომ „დინამოს" დახმარება სჭირდება, დახმარება საქმიანი, ოპერატიული. წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან მხოლოდ მოგონება დაგვრჩება.

**ნ. ბუგუშვილი.**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 23 | 2 | 2115—1764 | 23 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 25 | 19 | 6 | 1899—1680 | 19 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 24 | 18 | 6 | 1901—1713 | 18 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 24 | 17 | 7 | 1886—1822 | 17 |
| „კალევი" (ტარტუ) | 24 | 13 | 11 | 1924—1891 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 24 | 13 | 11 | 1968—1920 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 24 | 12 | 12 | 1906—1949 | 12 |
| ასკ (კიევი) | 25 | 9 | 16 | 1776—1810 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 25 | 7 | 18 | 1805—2014 | 7 |
| ასკ (რიგა) | 24 | 6 | 18 | 1744—1902 | 6 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 24 | 5 | 19 | 1778—2002 | 5 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 24 | 4 | 20 | 1751—1976 | 4 |

## სენსაციებს რა გამოლევს!

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

კიევი. ადგილობრივმა არმიელებმა დაამარცხეს ტარტუს „კალევი" — 75:49. სენსაციაა, რა თქმა უნდა, ჯერ თვით ფაქტი მასპინძლების გამარჯვებისა და შემდეგ ანგარიში. მოდი და ნუ გაოცდები — „კალევმა", რომლის შემადგენლობაში თამაშობს სსრ კავშირის ნაკრების 3 წევრი (ლიპსო, ტომსონი და კრიკუნი) 40 წუთის მანძილზე მხოლოდ 49 ქულა აიღო. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ესტონელები თავდამსხმელთა შედეგიანობით მუდამ მოწინავეთა შორის იყვნენ. რა უნდა იყოს „კალევის" წარუმატებლობის მიზეზი? იქნებ სწორედ ნაკრების წევრთა მონაწილეობა მატჩში?

სვერდლოვსკი. სატურნირო ცხრილის უკიდურეს სამხრეთ პოლუსზე გაცილებით უფრო მძაფრი ბრძოლაა, ვიდრე იქ, სადაც უმაღლესი საკალათბურთო ტიტულები ნაწილდება. „ურალმაშ" — „ლოკომოტივის" ტანდემი დაირღვა. სვერდლოვსკელებმა დაამარცხეს ალმაათელი კოლეგები, დატოვეს ისინი მარტოდმარტო და თვითონ სატურნირო ცხრილში დაწინაურდნენ. სანამ ეყოფათ მათ ძალები? ბოლო შეხვედრის შედეგით თუ ვიმსჯელებთ (75:61), „ურალმაში" აღმავლობას განიცდის.

მოსკოვი. ნაცნობი სიტუაცია და ლოგიკური შედეგი. სსრ კავშირის ჩემპიონს მუდამ უჭირს თამაში მოსკოვის „დინამოსთან". ცსკა-მ ამჯერადაც, ბევრი ოფლი დაღვარა, ბევრი უსიამოვნო წუთი გადაიტანა, თვითონაც ინერვიულა, სხვაც ანერვიულა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა — 77:72.

კიევი. „სტროიტელმა" დაამარცხა რიგის ასკ — 80:77. ამ ცნობას არ სჭირდება დასაბუთება და კომენტარი. „სტროიტელი" უფრო ძლიერია და, ცხადია, გამარჯვებული გამოვიდა საათნახევრიან ბრძოლაში. და მაინც, ორი სიტყვა უნდა შევაწიოთ რიგის არმიელებს, რომლებმაც ერთი კვირის წინ კინაღამ დაამარცხეს ცსკა მისსავე მოედანზე, გუშინწინ კი უკრაინელ გულშემატკივრებს გაუხეთქეს გული. არა, რიგის არმიელები არ ხუმრობენ და, როგორც ჩანს, დიდხანს არ დარჩებიან X ადგილზე.



## ახალი ამბები

● მონტე-კარლო, 22 ივნისი. საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისთანავე აქ გაიმართა შაშის მსოფლიო ფედერაციის გენერალური ასამბლეის სესია, რომელმაც მიიღო სსრ კავშირის ფედერაციის წინადადება „საერთაშორისო დიდოსტატისა“ და „საერთაშორისო ოსტატის“ წოდებათა მინიჭების თაობაზე. საერთაშორისო დიდოსტატი გახდა ჰოლანდიელი ხ. ვირსმა, საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭათ ტაშკენტელ ს. დავიდოვს, მოსკოველ ვ. აგაფონოვს, ლენინგრადელ ა. მოგილევსკის, ბელგიელებს — მ. ფერლეინსა, ნ. დემესმეკერსა და სხვებს.

● ვარშავა, 22 ივნისი. ი. კუსოჩინსკის მემორიალის ბოლო დღეს მოსკოველმა ა. ივანოვამ ბადრო ტყორცნა 52,94 მეტრზე, რიგელმა მძლეოსანმა ქალმა ს. შტულამ გაიმარჯვა 800 მეტრზე რბენაში — 2.05,1.

● ლიონი, 22 ივნისი. „პოლ მერიკამპის“ მემორიალში მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. მასპინძელი ჟ. პანი პირველი იყო სიგრძეზე ხტომაში — 816 სმ, ჩეხოსლოვაკიელმა ი. პლახიმ მოიგო 800 მეტრზე რბენა — 1.47,7, პ. შობელმა (საფრანგეთი) 110 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 13,8 წამი.

● ვარშავა, 22 ივნისი. პოლონეთის ჩემპიონი გახდა დედაქალაქის „ლეგიის“ ფეხბურთელთა გუნდი. მან უკან ჩამოიტოვა ხოჟუვის „რუხი“ და ზაბჟეს „გურნიკი“.

● ამსტერდამი, 22 ივნისი. ხვალ აქ სტარტი მიეცემა ჰოლანდიისა და სსრ კავშირის მოშაშეთა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს. საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ა. ანდრეიკო, ი. კუპერმანი, ა. განტვარგი, ვ. შჩოგოლევი, ს. დავიდოვი, ბ. შკიტკინი და ნ. სრეტენსკი. მასპინძელთა ნაკრებს მეთაურობს ტ. სეიბრანდსი.

## ლონდონიდან პარიზში

22 წლის ინგლისელმა ჯონ ბეთსმა ალმოაჩინა, რომ რატომღაც ჯერ არავის მოსვლია აზრად პედალიანი ავტომობილით ლონდონიდან პარიზში გამგზავრება. მან თავისი ხელით ააგო მანქანა და მალე აპირებს შეუდგეს განზრახულ საქმეს. ბეთსი სტარტს აიღებს ლონდონში, ჰაიდ-პარკის მახლობლად აგებულ ტრიუმფალურ თაღთან, ხოლო ფინიში პარიზში, ელისეის მინდვრებზე, ასევე ტრიუმფალურ თაღთან ექნება.

ეს მარშრუტი ჯონ ბეთსმა უნდა გაიაროს თავის ექვს მეგობართან ერთად, რომლებიც საჭესთან ერთმანეთს შეცვლიან. დაზვენებით კი მრბოლელები ჩვეულებრივ მსუბუქ მანქანაში დაისვენებენ, რომელიც ექსპედიციას მოემსახურება.



სურათზე: ჯონ ბეთსი თვითნაკეთი პედალიანი ავტომანქანით გადარბენისთვის მზადებისას.

ფოტო „ფიბ აკტუელტ“— ააფ-ისა.

## ყველაზე სპორტული...

კაპლანბეკის ზოოვეტერინალური საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ყოველი კურსდამთავრებული „ფიზკულტურულ დიპლომსაც“ იღებს. ამ მეორე „დიპლომში“ აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულს აქვს თანრიგი სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა თუ სპორტული მსაჯის წოდება.

შემთხვევითი როდია, რომ ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩიმკენტის ოლქში. სპორტულ წრეებსა და სექციებში 800-ზე მეტი მოსწავლეა გაერთიანებული. ამასთან, ყოველი მესამე თანრიგოსანია.

მოსწავლეთა შორის არიან რესპუბლიკის ჩემპიონებიც. დავასახელოთ, მაგალითად, 200 მეტრზე რბენაში უძლიერესი ნ. ოვჩინიკოვა. კაპლანბეკელი ფრენბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები, ფეხბურთელები საერთაშორისო შეხვედრებშიც კი გამოდიან.

... ყველაფერი სპორტული ბაზის შექმნით დაიწყო. მოსწავლეები მეგობრულად გამოვიდნენ მშენებლობაზე. ნახევრად უდაბნოში გაჩნდა სპორტული კომპლექსი — ფეხბურთის მინდორი სარბენი ბილიკით, სათამაშო მოედნები, იქვე აღიმართა სპორტული კორპუსი.

კაპლანბეკი ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ სოფლად იქცა სამხრეთ ყაზახეთში.

ი. ნიკიტინი.

ალმა-ათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეორე ხარისხის

თუ სპორტის ისტორიას დავუჯერებთ, დახურულ შენობებში მძლეოსნობა უფრო ადრე იშვა, ვიდრე სტადიონებზე. ყოველ შემთხვევაში, მძლეოსანთა ოფიციალური შეჯიბრებები ჯერ დარბაზებში ჩატარდა, შემდეგ კი სუფთა ჰაერზე. როგორც ჩანს, ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ თანამედროვე „სპორტის დედოფლის“ სამშობლო — დიდი ბრიტანეთი არასოდეს არ გამოირჩეოდა კარგი ჰავით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში წვიმამ და ნისლმა ბრიტანელი ათლეტები დარბაზებს შეაფარა, სადაც ჩატარდა პირველი ოფიციალური შეხვედრა ინგლისისა და ირლანდიის მძლეოსანთა შორის.

სხვა მრავალ სპორტულ ტრადიციასთან ერთად ამერიკელებმა ინგლისელთაგან გადმოიღეს მძლეოსნური შეჯიბრებების დარბაზში ჩატარების წესი. 101 წლის წინ მოეწყო აშშ-ს პირველი ჩემპიონატი დახურულ შენობაში. ამ შეჯიბრებების პროგრამა საკმაოდ ორიგინალური იყო. სხვადასხვა დისტანციაზე რბენის გარდა, მასში შედიოდა ხტომა სიგრძეზე, ჭოკით, აგრეთვე... ბადროს ტყორცნა. დარბაზის ზომები სრულიადაც არ ავიწროებდა ბადროს მტყორცნელებს, რადგან 30 მეტრზე შორს ტყორცნა მათ უბრალოდ არ შეეძლოთ. გასაგებია, რომ ბადროს მტყორცნელებმა — ჩვენმა თანამედროვეებმა „დაკარგეს“ წინაპრების საიდუმლოება და ახლა იმ დარბაზებში, სადაც მძლეოსნები ასპარეზობენ, მხოლოდ მაყურებლების როლში დადიან.

ძალიან მალე ბადროს მტყორცნელებმა, ისევე როგორც სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა, სივიწროვე იგრძნეს დახშულ დარბაზებში. „სპორტის დედოფალი“ სტადიონების სივრცეებზე გაიჭრა, ოლიმპიური პროგრამის „ფლაგმანი“ გახდა. საუკუნის დასაწყისში შექმნილ მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციას, რომელსაც სპორტის მოყვარულები უფრო იააფ-ის სახელწოდებით იცნობენ, პირველ ხანებში ოლიმპიური მძლეოსნობის საკითხში ბევრი საზრუნავი გაუჩნდა. იააფ-ის ხელმძღვანელებს გაგონებაც არ სურდათ იმისა, რომ შეეფობა აეღოთ მძლეოსანთა შეჯიბრებებზე დარბაზებში. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ მძლეოსნებს, რომ ზამთარში რეგულარულად ესპარეზათ დახურულ შენობებში. ასეთი შეჯიბრებების პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. ჩრდილოეთის ნახევარსფეროს ყველა დიდმა სპორტულმა ქვეყანამ დაიწყო სპეციალური დარბაზების აგება მორბენლებისთვის, მხტომელებისთვის, მტყორცნელებისთვის. 1966 წლიდან ევროპელი მძლეოსნები ყოველ ზამთარს ატარებდნენ ეგრეთ წოდებულ ევროპულ თამაშებს დახურულ შენობებში, ხოლო წლეულს მოეწყო კონტინენტის ოფიციალური ზამთრის ჩემპიონატი, რომელმაც დიდი გამარჯვება მოუტანა საბჭოთა მძლეოსნებს.

მაგრამ იააფ-ი ბოლომდე თანმიმდევრული არ გამოდგა. საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა ზამთრის ევროპული ჩემპიონატის ოფიციალური სტატუსი, რეკორდები კი დაავიწყდა. მძლეოსნობაში დღემდე არ არსებობს რეკორდი, რომელიც დარბაზშია დამყარებული. მათ მორცხვად უწოდებენ მსოფლიოს, ევროპის, ეროვნულ უმაღლეს მიღწევებს. ამას გარდა, არავინ იცის ზეირიანად, რომელ დისტანციებზეა მიზანშეწონილი ამ უმაღლესი მიღწევების ფიქსირება. დარბაზების გაბარიტების მიხედვით ზოგან ტარდება შეჯიბრებები ისეთ დისტანციებზე, როგორიცაა 70 იარდი, 55 მეტრი, 30 მეტრი. სულ კი სტატისტიკის ზოგიერთი მოყვარული აღნიშნავს უმაღლეს მიღწევებს ასზე მეტ დისტანციაზე, მაშინ, როცა სტადიონზე კლასიკურად მხოლოდ 8 დისტანცია ითვლება. ნათელია, რომ იააფ-მა უნდა დააწესოს უმაღლესი მიღწევები იმ დისტანციებზეც, რომლებზეც დარბაზში ეწყობა შეჯიბრებები. ასეთია, ვთქვათ, 50 და 60 მეტრი სპრინტერებისთვის, 400 მეტრი გრძელი სპრინტის სპეციალისტებისთვის, 800 და 1500 მეტრი საშუალო მანძილზე მორბენლებისთვის, 3000 და 5000 მეტრი სტაიერებისთვის.

თუმცა სხვადასხვა დარბაზი სხვადასხვა პირობებს უყენებს სპორტსმენებს. მაგალითად, ბილიკზე, რომლის საერთო სიგრძე 300 მეტრია, გაცილებით იოლია რბენა, ვიდრე ბილიკზე, რომლის სიგრძე წრეხაზზე 100-200 მეტრს არ აღემატება. ევროპაში, სამწუხაროდ, სრული შეუსაბამობაა ბილიკების სიგრძესა და ვირაჟების სიმრუდეს შორის. შეერთებულ შტატებში მიღებულია სიგრძე 160 მეტრი, ასეთივე ბილიკია მოსკოვის სპორტის სასახლეში, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე კარგია ვენის ბილიკი, სადაც ევროპის პირველი ზამთრის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, — 200 მეტრი.

არ უნდა დავივიწყოთ ამ ბილიკების საფარი. როგორც წესი, ბილიკებს ხის დაფებისგან აგებენ, მაგრამ აქა-იქ მათ რეზინით ფარავენ. არის წიდოვანი ბილიკებიც, როგორც მაგალითად, ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე, მაგრამ ამ ფაქტს, ალბათ, არ უნდა მივანიჭოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. იააფის იმ ეჭვში, რომ სხვადასხვა დარბაზის სხვადასხვა პირობები ზამთრის შედეგების რეკორდებად რეგისტრაციის საშუალებას არ იძლევა. საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში ზოგიერთ სპორტსმენს უპირატესობა ენიჭება, ზოგი კი ზარალდება. დიახ, უნდა ვაღიაროთ,



## ვინტერშტელერი მწვერვალებს იპყრობს

ამ ზაფხულს ლენინის პიკის (7134 მ) იერიშში ცალფეხა ავსტრიელი მთამსვლელი ბრუნო ვინტერშტელერიც აპირებს მონაწილეობას.

— მე უთუოდ მივაღწევ ამ მწვერვალს, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, — ამბობს 45 წლის გმუნდენელი (ზემო ავსტრია) მოსამსახურე. ბრუნოს კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

ბრუნო ვინტერშტელერი 20 წლისა იყო, როცა თხილამურებით ვარჯიშის დროს ფეხი მოიტეხა.

— მაშინ, როცა ფეხი მუხლს ზემოთ მომკვეთეს, ისე თავზარდაცემული ვიყავი, სიცოცხლე აღარ მინდოდა.— ამბობს ვინტერშტელერი. — დავემშვიდობე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ფიქრს, მაგრამ საბოლოოდ სულით არ დავცემულვარ და ახლა ვამაყობ ამით.

45 წლის მთამსვლელმა დაიპყრო მონბლანი (4807 მ), მატერჰორნი (4777 მ) და სხვა მწვერვალები. მას უამრავი სპორტული ჯილდო აქვს მიღებული.

— ლენინის პიკზე იერიშის დროს ბრუნოს დიდი იმედი გვაქვს, — ამბობენ ვინტერშტელერის ამხანაგები. — ასვლაში იგი ჩვენ არ ჩამოგვრჩება, დაშვებისას კი მუდამ პირველია.

დასავლეთგერმანულ ჟურნალ „კვიკიდან“ გადმობეჭდილ სურათზე თქვენ ხედავთ მამაც მთამსვლელს ერთ-ერთი წვრთნის დროს.

# ფიზკულტურა და სპორტი —

ამას წინათ შედგა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის სხდომა, რომელმაც დეტალურად განიხილა ვიტებსკის რადიოდეტალების ქარხნის სპორტკლუბ „დვინის“ მუშაობა.

ამ საწარმოში ბევრი რამ კეთდება იმისთვის, რომ ფიზკულტურა და სპორტი მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დაინერგოს. ქარხნის თორმეტივე საამქროში შეიქმნა ფიზიკური კულტურის კოლექტივები. სპორტის 16 სახეობის სექციებში 5 ათასზე მეტი კაცი მუშაობს. 1969 წელს სპორტკლუბმა მოამზადა 4 სპორტის ოსტატი, 34 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 650 თანრიგოსანი. სულ ქარხანაში ფიზკულტურას, სპორტსა და ტურიზმს მშრომელთა 40 პროცენტზე მეტი მისდევს.

მთელი სპორტულ-მასობრივი მუშაობა საზოგადოებრივი აქტივის ძალებით ხორციელდება. საწარმოში ჰყავთ 620 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, 417 სპორტული მსაჯი. სპორტულ კალენდარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადებს, აგრეთვე, ჯანმრთელობის სპარტაკიადებს. ქარხნის ტექნიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმაში 1969—1975 წლებისთვის დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს, სპორტულ მშენებლობებს, მშრომელთა დასვენების ადგილების კეთილმოწყობას. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქარხნის ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საამქროების სოციალისტური შეჯიბრების ყოველთვიური შედეგების შეჯამებისას საწარმოო მაჩვენებლებთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა საამქროების ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შედეგებსაც. სხვათა შორის, ქარხანაში აღნიშნავენ, რომ სპორტსმენები და ფიზკულტურელები დიდ საწარმოო და საზოგადოებრივ აქტივობას იჩენენ. ქარხნის საუკეთესო სპორტსმენები სამუშაო გეგმებს 135—150 პროცენტით ასრულებენ. 780-ზე მეტი სპორტსმენი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

კოლეგიამ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აღნიშნა ნაკლიც სპორტკლუბ „დვინის“ მუშაობაში. მან კლუბს მთავარ სამერმისო ამოცანად დაუსახა მასობრივ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია უშუალოდ საამქროებში, რათა ფიზკულტურელთა რიგებში ჩაბმული იყოს საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა მთელი ძირითადი მასა.

# რეკორდები

სხვა თანაბარ პირობებში მორბენა- უფრო მაღალ შედეგს აჩვენებს ვე- ლრბაზში, ვიდრე პარიზში ან ლონ- დონში, მაგრამ პირობები ხომ არც სტადიონებზეა ერთნაირი. იააფ-ი, როგორც ცნობილია, ტარტანისა და ოვანი ბილიკებისთვის რეკორდების სტრაციას ცალ-ცალკე არ ახდენს. ულებოდა მოგვეთხოვა დიფერენცი- ული მსოფლიოს რეკორდები ერთ- საფარიანი სტადიონებისთვისაც კი. ცნობილია, რომ ციურიჰის სტადი- წიდოვანი ბილიკი ყველაზე რაფია" მსოფლიოში. 10 წლის წინ რედ აქ დამყარდა სენსაციური რე- ები სპრინტისა და თარჯრბენის ტანციებზე. ხომ არავის მოსვლია ად ცნობილი ა. ჰარის რეკორდი მეტრზე — 10,0 ჩაეთვალა არა ლიოს, არამედ მხოლოდ ციური- სტადიონის რეკორდად?

რა, იააფ-ი არ განასხვავებს რეკო- რდებს სხვადასხვა სტადიონისთვის. მსოფლიოს რეკორდების ცხრილის წი- ნაშე ყველა სარბიელი სრულფასო- ვანია. კი მაგრამ, რატომაა სხვა მდგო- მარეობაში დარბაზები? ამას გარდა, ეჭვი არ არის, რომ სარბენი ბილიკე- ბის საფარი თანდათან უფრო სრულ- ყოფილი გახდება. ტარტანს უფრო „სწრაფი" მასალა შეცვლის და საერ- თაშორისო ფედერაცია წარბშეუხრელად დაამტკიცებს რეკორდებს, რომლებიც ამ სტადიონებზე დამყარდება. მძლეო- სნური დარბაზები? რა ხნის მანძილ- ზე დაამყარებენ იქ „მეორე ხარისხის" რეკორდებს, არაფრისმთქმელ „უმაღ- ლეს მიღწევებს"? ზამთრის შედეგების სრული თანასწორუფლებიანობის აღია- რება პოპულარიზაციას გაუწევს მძლე- ოსნობას, რომელიც უკვე დიდი ხანია არ ითვლება სპორტის მხოლოდ საზაფ- ხულო სახეობად.

ს. შენკმანი.

# ცისფერი ბილიკები

31 ივლისიდან 2 აგვისტომდე დანიაში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში. სარბიელზე გამოვლენ საბჭოთა ოს- ტატებიც—საერთაშორისო ასპარეზობათა აღიარებული ფავორიტები. აას-ის კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზი- კური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოს- ნობის განყოფილების უფროსს ი. ემელიანოვს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● რა ცვლილებები მოხდა სსრ კავშირის ნაკრებში მეხიკოს ოლიმ- პიადის შემდეგ?

— უმნიშვნელო. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1964 წლის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენ გუნდის გაახალგაზრდავე- ბაზე ავიღეთ კურსი. ამასთან, ნაკრე- ბის მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ხელო- ვნურად არ შეევიწროვებინათ ვეტერა- ნები, მათთვის ახალგაზრდობასთან პა- ტიოსნური ბრძოლის საშუალება მიე- ცათ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვეტე- რანებს ნაკრების დებიუტანტებმა აჯო- ბეს, რომლებიც შესანიშნავად გამოვიდ- ნენ მეხიკოში. მნიშვნელოვანი წარმა- ტება მოიპოვა სუმელმა ა. შაპორენკომ, რომელმაც სოჩიმილკოს ოლიმპიურ არ- ხზე II ადგილი დაიკავა ბაიდარებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში, შემდეგ კი ვიქტორ ვ. მოროზოვთან ერთად ოქროს მედალი მოიგო ორადგილიანით. ორად- გილიანი კანოეთი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მოსკოველმა სტუდენტმა ნ. პრუპეცმა და ლენინგრადელმა მ. ზა- ხაროვმა.

მწვრთნელად დაიწყო მუშაობა ორგ- ზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. სერედი- ნამ, რომელიც სსრ კავშირის ქალთა ნაკრებს უდგას სათავეში. მთლიანად მწვრთნელურ მუშაობაზე გადავიდა კა- ნოისტი ვ. მალკოვი, რომელმაც სოჩი- მილკოს არხზე III ადგილი დაიკავა. ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიურ თა- მაშებში გამარჯვებული, ლენინგრადე- ლი ლ. პინაევა ახლახან დედა გახდა, მაგრამ მაინც პოულობს დროს ვარჯი- შისთვის.

ძალიან ძლიერია თ. შიმანსკაია, რომელმაც ევროპის შარშანდელ ჩემპი- ონატში (მოსკოვში) ოქროს მედალი მოიპოვა ბაიდარებით 500 მეტრზე ერთეულში.

● რა შეიძლება ითქვას უძლიე- რესი საბჭოთა ნიჩბოსნების მომზა- დების მეთოდიკაზე?

— საბჭოთა ნიჩბოსნების წარმატე- ბები საერთაშორისო სარბიელზე მოწ- მობენ, რომ ჩვენი ნაცადი სისტემა სე- რიოზულ ცვლილებებს არ მოითხოვს, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც შეიცვალა. ეს ძირითადად მოსამზადებელ პერი- ოდს ეხება. ამ ზამთარს საბჭოთა ნიჩ- ბოსნებმა დიდხანს ივარჯიშეს თხილა- მურებით, მეცადინეობდნენ სათამაშო დარბაზებში, შტანგით. ამას გარდა, უკვე ზამთრის მიწურულს ქვეყნის ნაკ- რების წევრებმა წყალზე დაიწყეს ვარ- ჯიში. ამასთან დაკავშირებით ჩვეულებ- რივზე ცოტა ადრე — აპრილის ბო- ლოს — მოეწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ნიჩბოსნობაში. მებაიდარე- თა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ევრო- პის ჩემპიონი, იაროსლაველი ვ. ცა- რიოვი. ქალებში ამ კლასის ნავებით გაიმარჯვა როსტოველმა ა. მიშეჩკინამ. ჩემი აზრით, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა ახლავე უნდა იზრუნონ, რათა მათმა აღსაზრდელებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ საუკეთესო ფორმა არ დაკარგონ.

წლევანდელი სეზონის მანძილზე ნიჩბოსნებს შეჯიბრებებს შორის ბევრი შესვენება ექნებათ. აქტიურადაც დაის- ვენებენ და ტექნიკურ წვრთნასაც ჩაა- ტარებენ. სექტემბრის დამდეგს ჩატარ- დება სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომ- ლის შედეგების მიხედვითაც დაკომპ- ლექტდება ქვეყნის ნაკრები გუნდი.

● ძირითადად ვინ გაუწევს მე- ტოქეობას საბჭოთა ნიჩბოსნებს?

— ბოლო წლების დიდ შეჯიბრება- თა შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენი მთავარი მეტოქეები უნგრეთისა და რუ- მინეთის სპორტსმენები იქნებიან. მათ შორის არიან ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები— უნგრელები მ. ხეში, ი. ჩერხა, ლ. ხინ- გლი, ტ. ვიხმანი, ტ. პეტრიკოვიჩი, რუმინელებიდან უნდა გამოვყოთ ვ. დუ- მიტრუ, ა. ვერნესკუ, ა. შოტნიკი. პროგრამის ცალკეულ ნომრებში გამა- რჯვების შანსი აქვთ გდრ-ის, პოლონე- თის, ჩეხოსლოვაკიისა და ნორვეგიის სპორტსმენებს.

# ყველასთვის

კოლეგიამ განიხილა, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე საზაფხულო სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატა- რების საკითხები. ამ ასპარეზობის მთა- ვარ მსაჯად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კოლესოვი, მის მოადგილეებად — ნ. რიაშენცევი და დ. ხომენკოვი.

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭათ ევროპის ჩემპიონებს ტანმოვარჯიშეობის... ნიჩბოსნობაში ქალთა შო- რის ა. ბოჩაროვას (მოსკოვი), ტ. გო- ლუბკოს (ლენინგრადი), ს. გრუცოვას (ვილნიუსი), სსრ კავშირის აბსოლუ- ტურ ჩემპიონს მხატვრულ ტანვარჯიშ- ში ლ. სერედას (კიევი), ველოსიპე- დისტ დ. ლაცისს (რიგა) და ჰოკეისტ ი. მოროზოვს (ვოსკრესენსკი). სსრ კა- ვშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიიღეს ლენინგრადელმა დ. პოლიაკოვმა (ველოსპორტი), კიეველმა ი. ტურჩინმა (ხელბურთი) და მოსკო- ველმა ვ. კულაგინამ (კალათბურთი).

სხდომამ განიხილა, აგრეთვე, სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების გამოსვლის შედეგები კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში (იუგო- სლავია). კოლეგიამ აღნიშნა ჩვენი გუ- ნდის მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და დასახა კონკრეტუ- ლი ღონისძიებები მათი გამოსწორები- სთვის.



# მაგადანის მახლობლად...

მაგადანის მახლობლად მდებარე თოვლიან ველზე გაზაფხულის დამ- დეგიდან შუა ზაფხულამდე ხალხმრავლობაა. ზოგს მზის აბაზანების მი- ღება სურს, ზოგს მთის ფერდობებზე თხილამურებით ხრიალი, ზოგს კი მთის ყინულოვან მდინარეებში ბანაობაც.

ს უ რ ა თ ზ ე: „წყლის დაბრკოლების" გადალახვა. თოვლიანი ველის ერთ-ერთ კუთხეში.

ვ. ტეტერინის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ოსტატები ტუშინოს ცაში

ტუშინოს აეროდრომზე ივნისის ნათე- ლი დილა დგას.

ლაჟვარდ, უღრუბლო ცაში სპორტუ- ლი თვითმფრინავი „იაკ—18 პმ" უმა- ღლესი პილოტაჟის ფიგურებს ასრუ- ლებს. აი, თვითმფრინავი ვერტიკალუ- რად ზევით აიჭრა, სისწრაფეს უკლო და კუდით ძირს დაშვება დაიწყო. ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს. შემდეგ თვითმფრინავი მარცხენა ფრთაზე გა- დაბრუნდა და ჩვეულებრივ მდგომარე- ობას დაუბრუნდა.

— შესანიშნავი ილეთია! — ამბობს სათვითმფრინავო სპორტში საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების უფრო- სი მწვრთნელი კასუმ ნაჟმუდინოვი, ეს იგორ ეგოროვია, ჩვენი ნაკრების კა- პიტანი. მისი ხელწერის გამოცნობა ძნელი არ გახლავთ.

მე წამყვანი საბჭოთა მფრინავების მორიგ საწვრთნელ მეცადინეობას ვეს- წრები. ისინი იმ საბჭოთა ნაკრების კანდიდატები არიან, რომელმაც უმაღ- ლესი პილოტაჟის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატში უნდა მიიღოს მონა- წილეობა. ასპარეზობა ივლისის თვეში ჩატარდება ინგლისის ქალაქ ბრის- ტოლის მახლობლად, სამეფო საავიაციო ბაზაზე.

წვრთნა რამდენიმე საათს გაგრძელ- და. თავიანთი ოსტატობა გვიჩვენეს ცნობილმა მფრინავებმა და ეროვნუ- ლი გუნდის დებიუტანტებმა. მათ შო- რის არიან მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის მონაწილენი, ნოვოსიბირ- სკელი მფრინავ-ინსტრუქტორი ა. პი- მენოვი, კემეროვოელი ტაქსის მძღოლი ვ. პონომარიოვი, ახალბედები — კრასნოიარსკელი ინჟინერი ე. კაინოვი, დონეცკელი მაღაროელი ვ. სამოილო- ვი და მინსკელი მფრინავ-ინსტრუქტო- რი ვ. ხატკოვსკი.

ეს მფრინავები, — ამბობს ნაჟმუდი- ნოვი, — ახლა 30 წლისანი არიან. სათვითმფრინავო სპორტში ეს წლები გაფურჩქვნის ხანად ითვლება. ჩემი აზ- რით, ბრისტოლის მსოფლიო ჩემპიო- ნატში ყველა მათგანს შეუძლია საპა- ტიო კვარცხლბეკზე ავიდეს. მაგრამ ვინმე სათადარიგოდ უნდა დარჩეს, რა- დგან სარბიელზე მხოლოდ ხუთი სპორ- ტსმენი დაიშვება, ჩათვლას კი სამი საუკეთესო მფრინავის შედეგების მიხე- დვით მივიღებთ.

მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში ოთხი ვარჯიში შედის. ესაა სავალდე- ბულო კომპლექსი, უცნობი, ანუ, რო- გორც მას მფრინავები უწოდებენ, „ბნელი" კომპლექსი, ნებისმიერი პრო- გრამა და შეცვლილი კომპლექსი. სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედე- რაციის წინადადებით, ოქროს მედლები გათამაშდება არა მხოლოდ მრავალჭიდ- ში, არამედ ყოველ ცალკეულ ვარჯიშ- შიც.

საერთაშორისო საავიაციო ფედერაცი- ის სათვითმფრინავო სპორტის კომისი- ამ საბჭოთა დელეგაციის კიდევ ერ- თი წინადადება მიიღო — გუნდური პირველობა გათამაშდება ქალთა შო- რის იმ პირობით, თუ მსოფლიო ჩემპი- ონატზე, სულ ცოტა, სამი ქვეყნის სპორტსმენები მაინც ჩამოვლენ. ამას- თან, გუნდში სამზე ნაკლები მონაწი- ლე არ უნდა იყოს. შეჯიბრების პროგ- რამა ვაჟებისა და ქალებისთვის ერ- თნაირია.

საასპარეზო ზონის ფართობი 900×1100 მეტრია, სიმაღლის ჭერი — 100-დან 800 მეტრამდე. მაგრამ უმაღლესი საზღვარი ყველა ვარჯიშის- თვის 1100 მეტრამდე შეიძლება ავი- დეს. ჩემპიონატის კიდევ ერთი სიახ- ლე. მკვეთრად შემცირდა ზედა საზღვ- რების დარღვევისთვის დარიცხული საჯარიმო ქულების რიცხვი.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატთან შე- დარებით, რომელიც ორი წლის წინ მა- გდებურგში (გდრ) ჩატარდა, უმაღ- ლეს პილოტაჟში სსრ კავშირის ქალთა ნაკრების შემადგენლობა მთლიანად შე- იცვალა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სა- ხელგანთქმულმა მფრინავებმა გ. კორ- ჩუგანოვამ, ტ. პერესეკინამ და გ. სო- ლოვიოვამ სპორტი დატოვეს, ან მწვრთნელად დაიწყეს მუშაობა, ან სამოქალაქო ავიაციაში გადავიდნენ.

ახლა ბრისტოლის საგზურებზე პრე- ტენზიას აცხადებს ექვსი სპორტსმენი ქალი: მოსკოველი ინსტრუქტორი ზ. ლიზუნოვა (29 წლისა), ტულელი მფრინავი-ინსტრუქტორი ლ. ლეო- ნოვა (28), კუიბიშეველი ინჟინერი ს. პოდოლიაკი (26), ვოროშილოვ- გრადელი ტექნიკოსი ლ. მოჩალინა (24), კალუგელი სტუდენტი ლ. მორ- ოხოვა (23) და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ს. სავიცკა- ია (22). მათგან ერთ-ერთი სათადა- რიგოდ უნდა დარჩეს.

— სპორტულ მფრინავთა მზადება, — ამბობს კ. ნაჟმუდინოვი, — ორ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილს შეად- გენს ვარჯიშები მიწაზე — თეორიუ- ლი, ტაქტიკური და ფიზიკური მზადე- ბა, მეორე ნაწილი კი უშუალოდ საფ- რენოსნო პრაქტიკაა.

ბევრი ჩვენი ოსტატი ბოლო დრო- მდე სათანადოდ არ აფასებდა ფიზი- კურ მომზადებას. შემდეგ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მფრინავები, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობდნენ მძლეო- სნობაში, ცურვაში, კალათბურთში, სა- თვითმფრინავო სპორტშიც კარგ შედე- გებს აღწევენ. ასპარეზობის დროს ხომ მფრინავმა-სპორტსმენმა უზარმაზარ დატვირთვას უნდა გაუძლოს.

ბრისტოლში საბჭოთა მფრინავები გამოვლენ სამამულო თვითმფრინავით „იაკ—18 პმ", რომელმაც გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა გასულ მსოფ- ლიო ჩემპიონატებსა თუ სხვა დიდ საერთაშორისო ტურნირებში. აშშ-ს ავიატორები ბრისტოლში ჩაიტანენ სა- მამულო თვითმფრინავს „აკრომას- ტერს", დასავლეთგერმანელი მფრინავე- ბი — „კლებ-200"-ს, მაგრამ უც- ხოელი მფრინავების უმეტესობას ჩეხოს- ლოვაკიური თვითმფრინავი „ზეტ- 526" ურჩევნია.

მაგდებურგში, ბოლო მსოფლიო ჩემ- პიონატში, გუნდური ადგილები ამ თან- მიმდევრობით განაწილდა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სსრ კავ- შირი, ამერიკის შეერთებული შტატები. ეჭვი არ არის, რომ ამ ქვეყნების გუნდები ფავორიტები იქნებიან ბრის- ტოლის ჩემპიონატშიც. მაგრამ ახლა საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ შეჯიბრების მასპინძლებიც, ჩეხოსლო- ვაკიის, ესპანეთის, საფრანგეთის წარ- მომადგენლებიც.

მაგდებურგში საბჭოთა მფრინავებმა გუნდური პირველობა ვერ შეინარჩუ- ნეს, თუმცა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონების წოდება უმაღლეს პილო- ტაჟში მოიპოვეს კემეროვოელმა მფრი- ნავ-ინსტრუქტორმა ვ. მარტემიანოვმა და მოსკოველმა გ. კორჩუგანოვამ.

— ახლა საბჭოთა გუნდი თავისი ლიდერების გარეშე გამოვა, — ამბობს დასასრულ კ. ნაჟმუდინოვი. — რასა- კვირველია, ჩვენთვის უფრო ძნელი იქ- ნება პოზიციების დაცვა, მაგრამ მაინც მჯერა, რომ ჩემი მოწაფეები გაიმარ- ჯვებენ.

ბ. ოლშევსკი.

# სსრ კავშირის პირველობა

1970 ფეხბურთი

## სრული შემადგენლობით

ვოროშილოვგრადი. „ავანგარდის" სტადიონი. 22 ივნისი.

„ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„ზარია": ტკაჩენკო, სულუენკო, გარნუშკინი, აბრამოვი, საბო, შკლიარი, ფომენკო, სემიონოვი, შაკუნი, კუკსოვი, ფურსოვი (შილინი).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (მეტრეველი).

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:0 „ზარიას" სასარგებლოდ.

როგორც ხედავთ, თბილისელებს „ზარიასთან" სათამაშოდ სრული შემადგენლობა ჰყავდათ (მეტრეველი შესვენების შემდეგ გამოვიდა მინდორზე). მიუხედავად ამისა, არ იგრძნობოდა თბილისის „დინამოს" სრული საბრძოლო „კომპლექტის" ძალა. პირველი 45 წუთის მანძილზე თამაში ძირითადად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და გამწვავებებს ადგილი არ ჰქონია.

თამაში გამოცოცხლდა შესვენების შემდეგ. თბილისელებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს რამდენიმე საგოლე მომენტის შექმნა. ძნელი ბურთების აღება მოუხდა მეკარე ტკაჩენკოს, ხოლო ერთხელ პეტრიაშვილის დარტყმის შემდეგ ბურთი მასპინძელთა კარის ძელმა მოიგერია. საბოლოოდ, წარმატებას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია.

### ქალაქები, გოლები, კომენტარი

22 ივნისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

ერევანში ადგილობრივმა „არარატმა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ტაშკენტის „ფახთაქორი". ეს ერთადერთი ბურთი სტუმრების კარში 49-ე წუთზე გაიტანა კაზანჩიანმა — 1:0.

მინსკში თამაშობდნენ ადგილობრივი და კიევის დინამოელები. ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა მინსკელმა ვასილიევმა. ეს გოლი პირველივე ტაიმში საჯარიმო დარტყმით გაქვითა ონიშჩენკომ. შემდგომში მედვიდისა და ბოგოვიკის ზუსტმა დარტყმებმა გამარჯვება მოუტანა კიევის „დინამოს" — 3:1.

მოსკოვის სპარტაკელებმა შინ ჩატარებულ თამაშში სულ იოლად აიღეს 2 ქულა დონეცკის „შახტიორთან". მოსკოველთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. პირველი გოლის ავტორი იყო მოსკოველთა მცველი ივანოვი, დანარჩენი ბურთები გაიტანეს გრიგორიევმა, ხუსაინოვმა და ჰუსაინოვმა (2).

ლენინგრადის „ზენიტმა" თავის მინდორზე ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა მოსკოვის ტორპედოელებს, თუმცა ანგარიში ამ მატჩში მინიმალური იყო — 1:0. ლენინგრადელთა კარი რამდენიმეჯერ გადაურჩა აშკარა გოლს, ხოლო გადამწყვეტი ბურთი გატანილ იქნა ლენიოვის მიერ 11-მეტრიანი დარტყმით.

ფრედ — 1:1 დამთავრდა თამაში ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკსა" და როსტოვის არმიელთა გუნდს შორის. მე-15 წუთზე სპარტაკელები დაწინაურდნენ ბიჭიკოევის დარტყმის შემდეგ, ხოლო თანაფარდობა აღადგინა კუჩინსკასმა.

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 22 ივნისი.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (0:0).

„ჩერნომორეცი": იარჩუკი, ლისენკო, რეშკო, ზუბკოვი, სიროშიატნიკოვი, მოსკალენკო, პორკუიანი, მიხაილინი, პროკოპენკო (ბოსი), მასლოვი, ზვენიგოროდსკი.

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, შერგელაშვილი, ქოხონელიძე, დელბა, ერქომაიშვილი, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე.

მსაჯი ა. მარტინოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:1 „ჩერნომორეცის" სასარგებლოდ.

მასპინძლებს ამ მატჩში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. მართალია,

### მატჩი შეიძლება მთავრდებოდა...

„ტორპედოს" დაცვა თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ ოდესელთა თავდამსხმელები ერთობ არაზუსტად ამთავრებდნენ თავიანთ იერიშებს.

38-ე წუთზე ქუთაისელთა მეკარე გოგიამ უხეშად ითამაშა, რისთვისაც მის კარში დანიშნული იქნა პენალტი. „ჩერნომორეცმა" 11-მეტრიანის შესრულება მიანდო ლისენკოს, მაგრამ გოგიამ შეძლო ბურთის აღება.

ტორპედოელები ქულის აღების რეალური შესაძლებლობის წინაშე იმყოფებოდნენ, მაგრამ უკვე მაშინ, როცა მიმდინარეობდა მატჩის 85-ე წუთი, მიხაილინმა შორი მანძილიდან შეასრულა დარტყმა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

### უმაღლესი ჯგუფი „ა" კლასი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 12 | 8 | 2 | 2 | 16—8 | 18 |
| ცსკა | 12 | 7 | 3 | 2 | 21—6 | 17 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 12 | 7 | 3 | 2 | 20—6 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 12 | 6 | 5 | 1 | 19—7 | 17 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 12 | 5 | 5 | 2 | 10—6 | 15 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 | 5 | 5 | 3 | 14—12 | 15 |
| „არარატი" (ერევანი) | 12 | 6 | 2 | 4 | 11—9 | 14 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 12 | 3 | 7 | 2 | 18—12 | 13 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 13 | 4 | 5 | 4 | 7—12 | 13 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 13 | 3 | 6 | 4 | 11—9 | 12 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 12 | 2 | 6 | 4 | 7—10 | 10 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 13 | 3 | 4 | 6 | 7—11 | 10 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 12 | 2 | 5 | 5 | 7—17 | 9 |
| „დინამო" (მინსკი) | 12 | 2 | 4 | 6 | 9—14 | 8 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 12 | 2 | 4 | 6 | 7—23 | 8 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 12 | 2 | 3 | 7 | 10—18 | 7 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 12 | 0 | 5 | 7 | 8—22 | 5 |

### I ჯგუფი „ა" კლასი

21 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

თბილისის „ლოკომოტივი" დუშანბეში შეხვდა ადგილობრივ „პამირს" და დამარცხება განიცადა — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:0, „ალგა" (ფრუნზე) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 3:2, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — ასკ (კიევი) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დაუგავა", (რიგა) 0:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:0, „ყაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:0, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:2, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „კარპატი" (ლვოვი) 0:1, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 0:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 14 | 8 | 5 | 1 | 16—4 | 21 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 14 | 8 | 3 | 3 | 15—6 | 19 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 13 | 8 | 3 | 2 | 14—6 | 19 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 14 | 6 | 6 | 2 | 17—8 | 18 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 14 | 5 | 8 | 1 | 18—10 | 18 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 14 | 5 | 6 | 3 | 13—12 | 16 |
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 13 | 5 | 5 | 3 | 20—11 | 15 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 14 | 4 | 7 | 3 | 9—5 | 15 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 14 | 4 | 6 | 4 | 16—11 | 14 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 14 | 5 | 4 | 5 | 10—11 | 14 |
| ასკ (კიევი) | 14 | 6 | 1 | 7 | 18—16 | 13 |
| „პამირი" (დუშანბე) | 14 | 4 | 5 | 5 | 14—15 | 13 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 14 | 5 | 3 | 6 | 13—14 | 13 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 14 | 4 | 5 | 5 | 11—13 | 13 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 5 | 3 | 6 | 9—19 | 13 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 14 | 3 | 6 | 5 | 8—10 | 12 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 14 | 4 | 4 | 6 | 15—20 | 12 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 14 | 3 | 6 | 5 | 5—11 | 12 |
| „დაუგავა" (რიგა) | 14 | 3 | 5 | 6 | 9—19 | 11 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 14 | 4 | 2 | 8 | 12—16 | 10 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 14 | 3 | 4 | 7 | 8—17 | 10 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 14 | 2 | 1 | 11 | 8—23 | 5 |

### II ჯგუფი „ა" კლასი

II ზონა

მორიგი ტურის შეხვედრები „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდებს შორის დამთავრდა ასეთი შედეგებით:

„ვოლგა" (კალინინი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:0, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „სტალი" (ვოლგოგრადი) 1:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 0:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:0, „ვოლგა" (გორკი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 0:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 14 | 7 | 6 | 1 | 16—6 | 20 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 13 | 8 | 3 | 2 | 21—11 | 19 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 14 | 6 | 6 | 2 | 15—12 | 18 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 14 | 8 | 1 | 5 | 21—13 | 17 |
| „დინამო" (ბათუმი) | 14 | 6 | 5 | 3 | 13—9 | 17 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 14 | 5 | 6 | 3 | 17—5 | 16 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 14 | 6 | 4 | 4 | 15—10 | 16 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 13 | 5 | 6 | 2 | 10—5 | 16 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 13 | 5 | 6 | 2 | 15—12 | 16 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 13 | 5 | 5 | 3 | 13—15 | 15 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 14 | 5 | 4 | 5 | 14—9 | 14 |
| „დილა" (გორი) | 14 | 5 | 4 | 5 | 18—16 | 14 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 14 | 4 | 5 | 5 | 17—17 | 13 |
| „ვოლგა" (გორკი) | 14 | 4 | 5 | 5 | 13—17 | 13 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 13 | 4 | 4 | 5 | 11—12 | 12 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 14 | 3 | 6 | 5 | 11—13 | 12 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 13 | 2 | 7 | 4 | 10—16 | 11 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 14 | 3 | 5 | 6 | 14—20 | 11 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 14 | 4 | 3 | 7 | 14—24 | 11 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 14 | 2 | 5 | 7 | 6—11 | 9 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 14 | 2 | 4 | 8 | 11—19 | 8 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 14 | 0 | 4 | 10 | 4—27 | 4 |

### „ბ" კლასი

მოგვყავს „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფის გუნდების განვლილი ტურის შედეგები:

„კახეთი" (თელავი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:0, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 0:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) 1:0, „სპარტაკი" (სარანსკი) — „ორბიტა" (ზელაია კალიტვა) 1:0, „ტორპედო" (ეისკი) — „დინამო (სოხუმი) 3:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ეისკი) | 9 | 5 | 3 | 1 | 17—5 | 13 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 9 | 4 | 4 | 1 | 9—6 | 12 |
| „კახეთი" (თელავი) | 9 | 5 | 1 | 3 | 13—8 | 11 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 9 | 3 | 4 | 2 | 8—4 | 10 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 9 | 3 | 4 | 2 | 13—10 | 10 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 9 | 1 | 8 | 0 | 9—6 | 10 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 9 | 3 | 4 | 2 | 7—5 | 10 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 9 | 2 | 6 | 1 | 9—8 | 10 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 9 | 4 | 2 | 3 | 8—8 | 10 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 9 | 4 | 0 | 5 | 13—12 | 8 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 9 | 2 | 4 | 3 | 6—7 | 8 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 9 | 3 | 2 | 4 | 8—11 | 8 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 9 | 3 | 2 | 4 | 9—15 | 8 |
| „დინამო" (სოხუმი) | 9 | 2 | 3 | 4 | 7—10 | 7 |
| „ორბიტა" (ზელაია კალიტვა) | 9 | 2 | 3 | 4 | 6—9 | 7 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 9 | 1 | 5 | 3 | 5—8 | 7 |
| „სულორი" (ვანი) | 9 | 2 | 3 | 4 | 8—14 | 7 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 9 | 2 | 2 | 5 | 6—15 | 6 |

## [illegible]

● მოსკოვი, 22 ივნისი. სეზონის გახსნის ჯილდოზე წყლის თხილამურებით აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს ნ. პავლოვამ და გ. გუსევმა.

● სკოპლე, 22 ივნისი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი მ. ტაიმანოვი. IX ტურში მან მოუგო უნგრელ დიდოსტატ ლ. ბარცაის. ამჟამად ტაიმანოვს 6,5 ქულა აქვს (8-დან).

● კარაკასი, 22 ივნისი. ვენესუელის დედაქალაქში სტარტი აიღო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა. საბჭოთა სპორტის სახელს იცავენ დიდოსტატი ლ. შტეინი და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი.

### სოხუმელთა უპირატესობით

სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის პირველობა კალათბურთში. მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უძლიერესი გუნდები.

ქალთა შორის გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი სოხუმისა და ტყვარჩელის გუნდებს ჰქონდათ. ეს შეხვედრა აფხაზეთის დედაქალაქის კალათბურთელებმა დიდი უპირატესობით მოიგეს (57:19) და I ადგილიც დაისაკუთრეს (მწვრთნელი ვ. ხაშბა). III ადგილი წილად ხვდათ გულრიფშელ კალათბურთელებს.

ვაჟთა შორისაც სოხუმელებმა იმარჯვეს (მწვრთნელი ა. სედოვი). II-III საპრიზო ადგილები გუდაუთისა და ტყვარჩელის სპორტსმენებს ერგოთ.

გ. იაშვილი.

### [illegible]

✦ ლაგოდეხი

მოსწავლეთა სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა სოფელ ნინიგორის საშუალო სკოლამ. II ადგილზე გავიდა ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული საშუალო სკოლა, III — მ. კალინინის სახელობის რუსული საშუალო სკოლა.

ჯ. ჯიბლაძე,
ლაგოდეხის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 17 უე 03301